ხელშეკრულება N 15

დ. ლენტეხი "27" "იანვარი" 2014წ

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ლენტეხის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ვალოდია ქურასბედიანის სახით , შემდგომში წოდებული როგორც "მომხმარებელი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "მიკრონეტ"-ი შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე

I ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საინტერნეტო მომსახურების მიწოდება კლიენტისათვის, მომხმარებლისგან ყოველთვიური თანხის გადახდის პირობით.
1.2 ინტერნეტის მომსახურება წარმოებს შ.პ.ს. "მიკრონეტ"-ის მიერ დადგენილი ტარიფებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

II მხარეთა უფლება-ვალდებულებანი

2.1 შ.პ.ს "მიკრონეტ"–ს აქვს უფლება რამდენიმე ხანში ერთხელ გადახედოს ხელშეკრულებას და შეიტანოს მასში ცვლილებები მომხმარებელთან წერილობითი შეთანხმებით.
2.2 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს მომხმარებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების თანხის გადახდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.
2.3 მომხმარებელს ეკრძალება მიწოდებული ინტერნეტის მომსახურება გადაუნაწილოს სხვა მომხმარებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გადახდება პირსაგამტეხლოს სახით მიმწოდებლის სასარგებლოდ 100 ლარი.
2.4 მომხმარებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულების ვადებში და ოდენობით გადაიხადოს მომსახურების თანხა მიმწოდებლის ანგარიშწორების ანგარიშზე.
2.5 მომხმარებელი მოწყობილობის(ების) დაკარგვის, არ დაბრუნების ან თავისი ბრალით დაზიანების და მწყობრიდან გამოყვანის შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს მისი ღირებულება 300 ლარი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ გადაიხდის ამ საფასურს ერთი თვის ვადაში ყოველ გადაცილებულ თვეზე არსებულ ჯარიმას დაემატება 100 ლარი.
2.6 მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს მიწოდების შეფერხების აღმოფხვრა. მიმწოდებელზე წერილობითი შეტყობინების გადაცემიდან არაუგვიანეს 10 დღეში.
2.7 მომხმარებელს ეკრძალება მიმწოდებლის მიერ დამონტაჟებული მოწყობილობის გადაადგილება.
2.8 თითოეული მომხმარებელი ვალდებულია არ დაუშვას მიკრონეტის აპარატურასთან უცხო პირი, უცხო პირად ჩაითვლება ის ვინც არ არის მიკრონეტის თანამშრომელი. (შ.პ.ს "მიკრონეტი"–ს თანამშრომელს თან უნდა ჰქონდეს თანამშრომლობის დამადასტურებელი მოწმობა, კომპანიის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული.) ასევე ხელშეკრულების შეწყვეტისა და აპარატურის ჩაბარებისას, მომხმარებელი ვალდებულია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტისა და მიღება–ჩაბარების აქტი შ.პ.ს. "მიკრონეტი"–ს ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწყობილობა არ ჩაითვლება დაბრუნებულად და მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს 2.5 მუხლის თანახმად.

III მომსახურების ღირებულების და გადახდის წესი

3.1 ყოველთვიური გადასახდელი ქირა შეადგენს

ინტერნეტის პაკეტი	სიჩქარე	ფასი
ორგანზიაციის 5	10მბ/წ -მდე	300

ერთჯერადი გადასახდელი თანხა შეადგენს

- კომუტატორი	24 პორტიანი	800 ლარი

კომპიუტერებზე განაწილების საფასური	20 კომპიუტერი	300 ლარი
მონტაჟი	მონტაჟი	40 ლარი

3.2 მომსახურების საფასურის გადახდა ხდება საანგარიშო პერიოდის პირველ დღეს.

3.3 15 დღეზე მეტი ხნით თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს ჯარიმა 10 ლარი, 45 დღეზე მეტ დროზე 20 ლარი, 75 დღეზე მეტ დროზე 30 ლარი, ხოლო ამ დროის გასვლის შემდეგ მომხმარებელს ჩამოერთმევა მიმწოდებლის მიერ დამონტაჟებული მოწყობილობა და იგი სურვილის შემთხვევაში განმეორებით ჩართვაზე იხდის ინსტალაციის საფასურს ლარს .

3.4 მომსახურების დროებით შეჩერებისათვის მომხმარებელი ვალდებულია 10 დღით ადრე აცნობოს მიმწოდებელს და ყოველ შეჩერებულ თვეზე გადაიხადოს 10 ლარი. მომსახურების შეჩერების მაქსიმალური ვადაა 3 თვე, ამ დროის შემდეგ მომხმარებელს აღარ შეუძლია მომსახურების დროებით შეჩერება.
3.5 მიმწოდებლის მიზეზით მომსახურების ერთ დღეზე მეტის შეწყვეტის მთელი დროისათვის მომხმარებელი თავისუფლდება ამ დღის საფასურის გადახდისაგან
3.6 მომხმარებლის ბრალეულობის გარეშე მწყობრიდან გამოსული მოწყობილობა ამოიღება და შეიცვლება მიმწოდებლის ხარჯებით გადასახადის გარეშე.

IV სხვა პირობები

4.1 მხარეებს შორის ხელშეკრულება დადებულია 2014 წლის 28 იანვარს და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად თითო პირი ინახება მხარეებთან.
4.2 მხარეები ხელშეკრულების მოსალოდნელ გაწყვეტაზე წინასწარ აცნობებენ ერთმანეთს წერილობით ერთი თვით ადრე.

4.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი არ არის ვალდებული მომხმარებლის წინასწარ აცნობოს მომსახურების შეწყვეტის თაობაზე.

4.4 მხარეები ერთმანეთს შორის წამოჭრილ სადაო საკითხებს აგვარებენ ურთიერთ მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო წესით.

შენიშვნა: ინტერნეტის გათიშვის შემხვევაში გთხოვთ გვაცნობოთ არაუგვიანეს ერთი დღისა რადგან გათიშული დღეები სრულად იქნას ანაზღაურებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გათიშული დღეების რაოდენობა არ ჩაითვლება საპატიოდ და არ აგინაზღაურდებათ.

მიმწოდებელი	მომხმარებელი
შ.პ.ს. "მიკრონეტ"	ლენტეხის მუნიციპალიტეტი
ს/კოდი: 204557960	ს/კოდი: 234065560
ვებ გვერდი: www.micronet.ge	ვებ. გვერდი www. lentekhi.ge
ელ. ფოსტა: info@micronet.ge	ელ ფოსტა lentekhi.mun@gmail.com
„თი-ბი-სი" ბანკი	ლიბერთი ბანკი, [illegible]01486
ანგ. ნომერი GE68TB0820236080100002	ანგ. ნომერი GE95LB0120142167[illegible]
_____	_____

GEORGIA ELECTRONIC GOVERNMENT PROCUREMENT AGENCY * 234065560 *

MICRONET 204557960 GEORGIA MICRONET LTD